ცნობის ფურცელი

V° წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—ორშაბათი 30 ოქტომბერი 1900 წ. № 1283

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

წარსული წლების ჟურნალი

მოამბე

გაიყიდება შემდეგ ფასებზე: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალ „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალ

მოამბის

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинск. журнала „Моамбе“.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

ექიმი:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღინი—ყურის, ყელის და ცხვირის—10—11 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალის 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ბეჟირგანოვი—შინაგანი და ბავშვების—1—2 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი—სდოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისის, კანის და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

სადამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი

ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.—ქართული კაბებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი. (10—უ.—4)

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ოქტომბერი

პეტერბურგი 24 ოქტომბერს ყინულმა გააფუჭა ტელეგრაფის მავთულები ამურზე სახაროვსკთან და ამის გამო ევროპის რუსეთსა და ხაბაროვსკს შუა ტელეგრაფი არ მუშაობდა სამ დღეს. წყალს აუარებელი ყინული მოაქვს და ამისათვის შეუძლებელია მავთულების გასწორება. დროებით სატელეგრაფო სადგური დააწესეს მდინარის ნაპირზე და ხაბაროვსკში გაგზავნილი დეპეშები, უეჭველია, დაიგვიანებენ ხოლმე.

ჰელსინგფორსი. „ფინლიანდიის გაზეთში“ მოთავსებულია გენერალ-გუბერნატორის ცირკულიარი, რომლის ძალითაც გუბერნატორებმა უნდა იქონიონ მიწერ-მოწერა გენერალ-გუბერნატორთან და მისს კანცელარიასთან სახელმწიფო ენაზედ.

ნიუ-იორკი. ვაშინგტონის მთავრობის წრეებში გარდაწყვეტით უარსა ჰყოფენ იმ ხმებზედ, ვითომც შეერთებულ შტატებში მყოფ ჩინეთის ელჩს წინააღმდეგობა გამოეცხადებინოს გერმანელების მოქმედებაზედ პაოტინფუში.

პარიზი. დღეს ნაფიც მსაჯულთა კრება განიხილავს სალსონის საქმეს. სალსონს ბრალი ედება სპარსეთის შაჰის მოკვლის განზრახვაში.

ჯიბუთი. „Gelderbland“ სალამოთი პორტ საიდში წავიდა და კრიუგერს ჩამოსვამს მარსელში.

29 ოქტომბერი

პარიზი. სალსონს მიუსაჯეს სამუდამო კატორღა

ვაშინგტონი. კაბინეთმა გარდასწყვიტა დამცველთა რაზმი პეკინში დასტოვოს, დანარჩენი ჯარების შესახებ კი განკარგულება მოახდინა გადაყვანილ იქმნას მანილაში.

ბერლინი. პეკინიდან მთავარ სარდალი იუწყება, რომ ყველგან შემცირდა დეზინტერია. პეკინში და ტიანძინში სახადი არ მოსპობილა.

ლონდონი. რობერტსი იოჰანესბურგიდან დეპეშით იტყობინება: „სმიტ დორიენისაგან ამბავი მომივიდა ძლიერის ბრძოლის შესახებ, რომელიც 24 და 25 ოქტომბერს მომხდარა. მისი რაზმი, 250 ცხენოსანისა, 6 ზარბაზნისა და 200 ქვეითა ჯარის-კაცისაგან შემდგარი, ბელფასტიდან გამოსვლისათანავე წააწყდა ბურების რაზმს, რომელიც ინგლისელთ გაეკიდა და კომატერივერთან მივიდა. აქ ბურებმა დაიჭირეს პოზიცია, რომლიდანაც ინგლისელებმა ბოლოს ისევ გამოლალეს ისინი. მეორე დღეს ბურებს მოუეიდათ მაშველი ჯარი და ხელახლად შეეცადნენ იმ პოზიციის დაჭერას, საიდგანაც წინა ღამეს ინგლისელებმა გალალეს, მაგრამ ამაოდ. რობერტსის სიტყვით, 24 ოქტომბერს ის იყო მოწამე ისეთის შემთხვევისა, როგორსაც ადგილი არა ჰქონია მთელი ომის დროს. 200 ცხენოსანი ბური უეცრად დაეცა ინგლისის უკანა ჯარს. ბურები 70 ვერსის მანძილიდანვე გააბრუნა უკან კანადის დრაგუნის ჯარმა. ინგლისელებმა ორის დღის განმავლობაში დაკარგეს 8 კაცი მოკლული და 32 დაჭრილი.“

შანხაი. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ გამოიცა ბრძანება ჩჟენსტუში, ჩუნძიან შანის პროვინციაა, იმპერატორის სახლობისთვის სასახლის მომზადების შესახებ.

ოდესსა. რუსულის საზოგადოების გემის „ეკატერინე“-ს და რუსეთის საზოგადოების გემის „პეტრე“-ს დაჯახების შესახებ ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც გემის „პეტრე“-ს კაპიტანის თანაშემწეს ჩუიკოს მიუსაჯა სამსახურიდან დათხოვნა და ოთხის თვით დაპატიმრება, ზლვაოსანს ცვეტოვს—ორის თვით დაპატიმრება და საეკკლესიო მონანიება. გემის „ეკატერინე“-ს კაპიტანი ორლოვი გამართლებულ იქმნა. ერთი საჩივარი 1800 მანათისა დაკმაყოფილებულ იქმნა. დანარჩენნი მორიგებით დაბოლოვდნენ.

ნიუ იორკი. ვაშინგტონში მყოფმა რუსეთის ფინანსთა სამინისტროს აგენტმა რუტკოვსკიმ გამოაცხადა, რომ რუსეთი ამ ჟამად არავითარ ახალ-ხარჯების გაღებას არა ჰფიქრობს სამხედრო გემების შეძენისათვის და ამიტომ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ხმა, ვითომ რუსეთს ამერიკაში შეეკვეთოს ოთხი ახალი სამხედრო გემი.

ახალი ამბავი

✦ როგორც ამას წინად ჩვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყებდით მკითხველთ, გუშინ, 29 ოქტომბერს ბ-ნი ადელხანოვი დღესასწაულობდა თავისი ქარხნის 25 წლის იუბილეის. დღესასწაულზე, გარდა ქალაქის ვაჭართა და მრეწველთა, მოწვეულნი იყვნენ მხედრობის და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნიც. ქარხნის ყველა განყოფილებაში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო პანაშვიდი და შემდეგ სტუმრები ბ-ნმა ადელხანოვმა მიიწვია საუზმეზე თავის სახლში. ქარხანაში მომუშავეთ დაურიგდათ სხვა-და-სხვა სადღესასწაულო საჩუქრები. საუზმის შემდეგ ზოგი სტუმართაგანნი წავიდენ, უმეტესობა კი ბ-ნ ადელხანოვთან დარჩნენ სადილად. ტყავის ქარხნის ყველა განყოფილებები მორთული იყო ფერადი დროშებით და ყვავილებით.

სასამართლოს მატიანე

მოპარვა 50,000 მანეთისა.

(გაგრძელება *)

ვექილი ამირხანოვი. მთელის ამ მეტად რთულის საქმის გასაღებად უნდა მივიღოთ მოწმის ლიდა გერქეცის ჩვენება და გულწრფელი გამოტეხა თვით ბრალდებულის, ჩემის მარწმუნებლის, ნიკოლოოზ ორჯონიკიძისა. რაც შეეხება გერ-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც“ № 1282.

ჟეცის ჩვენებას, იგი არავითარი ყურადღების ღირსი არ არის; გამომძიებელთან და სასამართლოში მისი ჩვენება მე ეჭვსაც მიბადავს, რომ იგი სრული ჭკუისა არ უნდა იყოს. კარგათ მოგეხსენებათ, თუ როგორ დაებნა მას თავისი ჩვენება; მისი სასამართლოში ნალაპარაკევი წინააღმდეგია მისი გამომძიებელთან ჩვენებისა. ესეც არ იყოს, განა გამოდგება რაიმე საბუთად მისი განცხადება, როცა იგი იმდენად უტვიფრათ და წინასწარ მოფიქრებით სთხზავს ამბებს, რომ საჯაროდ აცხადებს თვეების ჩამოთვლა არ ვიციო, მაშინ როდესაც „ტფილისის ფურცელს“ კარგად კითხულობს, სადაც როგორც თვით განაცხადა, 50,000 მანეთის ფოსტიდან მოპარვის ამბავი ამოუკითხავს?! რომ გერჟეცი ამ ბოროტ-მოქმედების მოწმედ უმნიშვნელოა, მტკიცდება გურიელოვის ქალის ჩვენებით, რომელმაც განაცხადა, რომ ზაფხულში, თიბათვესა თუ მკათათვეში, გერჟეცი ბორჯომში წავიდა და იქიდან შუშაშიო. უმნიშვნელოა აგრეთვე ექსპერტის ივანოვის ჩვენება, რადგანაც არავითარი პროფესიონალური ცოდნა არ უნდა პარკის გაკერვას და მისი ლაქით დაბეჭდვას. რამდენადაც საქმის გარემოება გვიჩვენებს ნიკოლოოზს ამ საქმეში არავითარი ინიციატორობა არ შეეძლო; იგი შეაცდინეს და კიდეც აღიარა თავისი დანაშაულობა; და აი ამ გულწრფელ გამოტეხისათვის ღირსია იგი მოწყალებისა, რასაც ვშუამდგომლობ სასამართლოს წინაშე.

თავ. ი. ბარათაშვილი. სამი დღეა, ბ-ნნო მსაჯულნო, ვიკვლევთ-ვიძიებთ ამ საქმეს, მაგრამ მაინც იმდენად ნათლად ვერ გამოირკვა, რომ რაიმე ხელჩასაჭიდებელი საბუთი დაგვრჩენოდეს ჩემის მარწმუნებლის, გედევან ორჯონიკიძის ამ საქმეში მონაწილეობის მიღების დასამტკიცებლად. ერთად-ერთი საყურადღებო ამ საქმეში თვით ნიკოლოოზის გულწრფელი გამოტეხაა; ნიკოლოოზმა პირველად ცოტა ხანს იყოყმა, მაგრამ მაინც ბოლოს მასში გაიღვიძა გრძნობამ კაცურ კაცობისამ, რომელმაც თქვენს წინაშე წარმოათქმევინა: „მე დამნაშავე ვარ და ვიტყვი მართალს, რომ უდანაშაულონი არ დაიტანჯნენ“-ო! თუმცა ბ-ნი ბრალმდებლის ამხანაგი მოწმის გერჟეცის ჩვენებას განსაკუთრებითს ყურადღებას აქცევს, მაგრამ, წინააღმდეგ, იგი არავითარი ყურადღების ღირსი არ არის, რადგანაც მოწმის გურიელოვის ქალის ჩვენებით, იმ ბოროტ-მოქმედების დროს ტფილისში არ ყოფილა და, მაშასადამე, მას საკუთარი გულის წყრომა ნიკოლოზთან ალაპარაკებს, რასაც ამბობს, თორემ სასამართლოში ნაჩვენები ისე წინააღმდეგი არ იქნებოდა გამომძიებელთან მისი ნაჩვენებისაო, და იღბალი მისი, რომ უარ-ჰყო გამომძიებელთან ჩვენება, თორემ იგი პასუხის გებაში მიეცემოდა, როგორც ცრუ მოწამე, რაშიაც მე ეჭვი არა მაქვსო. რაც შეეხება შოშიტაიშვილის განცხადებას ვითომც მას გედევანმა მიუტანა იგდირის ხაზინის ადრესი დასაწერად და დაემუქრა კიდეც, არც ეს არის ღირსი ყურადღებისა, რადგანაც შოშიტაიშვილის დაპატიმრების შემდეგ მეტეხის ციხეში მრავალჯერ მიიყვანეს მისი მომმუქრე გამოსაცნობად, მაგრამ ვერავინ იცნო. აგრეთვე მოწმების ჩიქოვანისა და სხვათა ჩვენებით შოშიტაიშვილმა ვერ იცნო, როდესაც მას წარუდგინეს გედევანი სხვა ტუსაღებთან ერთად. განა შესაძლებელია, არ დამახსოვრებოდა მას პიროვნება იმ კაცისა, რომელიც, მისის სიტყვით, სიკვდილსაც დაჰმუქრებოდა? თუმცა მოწამე შავდიამ განაცხადა, რომ შოშიტაიშვილმა სთქვა, მაგასა ჰგავსო, შემდეგ,—ეგ უნდა იყოსო, მაგრამ ეს ისეთი ყოყმობით და დამტვრეულად იყო წარმოთქმული, რომ თუ მოწმეს დარწმუნებით ჰქონოდა რამე, მაგას არ იზამდა მოწმებმა ყიფიანმა და ნემსაძემ წარმოსთქვეს, რომ მათ გედევანი 1897 წელს 6, 7 და 8 აგვისტოს გორის მაზრის სოფელ ქვიშხეთში უნახავთ სტუმრად გაბაშვილისას მიწვეული, და ეს დროა სწორედ, როცა ტფილისში ფულის ქურდები მზადებაში იყვნენ; მაშ როგორი წარმოსადგენია, რომ გედევანი მათთან მონაწილეობას მიიღებდა. არც იმ მოსაზრებას აქვს საფუძველი, ვითომ გედევანის ცხოვრებას 1897 წლის 8 აგვისტოდგან რაიმე გაუმჯობესობა ეტყობოდეს. აქ თითქოს დანაშაულად უთვლიან ქართველ აზნაურს იმას, რომ იგი ტახტზედ მოკეცის ნაცვლად გამოდის ცხოვრებაში და ვაჭრობას ეწევა. როგორც მრავალ მოწმების ჩვენებით ვხედავთ, გედევანს შემოსავლის წყაროდ ჰქონდა ჯერ მამული, მერე თვისი საკუთარი შრომა, რომელიც გამოიხატა თავის თუ სხვათაგან ნაყიდ სანოვაგის ყიდვა-გაყიდვაში, საიდამაც მას ყოველთვის შეეძლო იმდენი გამორჩენა ჰქონოდა, რომ ჩაეცვა და დაეხურა შუათანად; რაც შეეხება თავ. ერისთავისათვის თივის ფასად 570 მანეთის ერთად გარდახდას, ეს საკმაოდ გამოირკვა მოწმების ხორავასა და კიკნაძის ჩვენებით, რომელთაგან,—პირველმა ასესხა 300 მან. თამასუქით და მეორემ 250 მან. სწორედ იმ დროს, როცა მან ერისთავისაგან თივა იყიდა. ბარათაშვილმა დასასრულ ითხოვა გედევანის გამართლება. ვექილმა ყანჩელმა თავის სიტყვაში უმთავრესი ყურადღება მიაქცია, სხვათა-შორის, მის მიერ სასამართლოში წარდგენილ ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სამმართველოს უფროსისაგან მიღებულ მოწმობას, რომლითაცა სჩანს, რომ 7 და 8 აგვისტოს სოლომონ ორჯონიკიძე სადგურ კასპში, როგორც სადგურის უფროსის თანაშემწე, მორიგად იყო. ამასთანავე ვრცლად ილაპარაკა, რომ სოლომონის ცხოვრებას 1897 წლის 8 აგვისტოდან შედარებით არავითარი გაუმჯობესობა არ ეტყობა, თუ იგი საკმაოდ იყო უზრუნველ ყოფილი, ეს აიხსნება მითი, რომ მას დარჩა სიმამრის მამული, ჰქონდა ჯამაგირი 80 მან. თვეში და აგრეთვე შემნახველ კასაში 700—800 მანეთი. დასასრულ ყანჩელმა მოსთხოვა სასამართლოს სოლომონის სრული გამართლება.

ვექილმა გ. გვაზავამ თითქმის საათნახევარი ილაპარაკა. ცხოვრების გამოცდილებიდან მოიყვანა მაგალითები იმის დასამტკიცებლად, რომ ყოვლად შეუძლებელია შოშიტაიშვილს რაიმე მონაწილეობა მიეღო ქურდობაშიო. გვაზავამ სთქვა: „რომ ავიღოთ ორჯონიკიძეთა და შოშიტაიშვილის დამოკიდებულება, დავაკვირდეთ და წარმოვიდგინოთ ცხოვრება ისე, როგორც ბუნებრივად, ნამდვილად ეს ხდება, იმ ლოღიკურს დასკვნას მივიღებთ, რომ თუ კი მოხდა მართლა ორჯონიკიძეებისაგან ქურდობა, აქ შოშიტაიშვილი ხელში დაჭერილ იარაღად წარმოგვიდგება, რომელსაც თავის თავად არავითარი მონაწილეობა, არავითარი შეგნებულად ამ საქმეში სამზადისის შედგომა არ შეუძლიან; მართლაც, შეხედეთ, რას წარმოადგენს შოშიტაიშვილი ორჯონიკიძეებთან შედარებით? უსწავლელი, უპატრონო, ღარიბი და გამოუცდელი გლეხი განა ორჯონიკიძეების, ამ თითქმის ინტელიგენტების თანასწორია?! განა მათთან შეუძლია მიიღოს მან რაიმე თანასწორი ტვირთის ზიდვა? იგი მხოლოდ ხელში შემჩერე მომავალი მოხელეა, რომელიც ღვთის წყალობასავით მოელის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში ადგილის შოვნას სოლომონის პრატექციითა და ნიკოლოოზის დაპირებით, და ამნაირად ზნეობითად დავალებული ყოველთვის მზად არის, რასაც უბრძანებენ, ასრულოს. ბრალმდებელი აცხადებს, თითქოს შოშიტაიშვილის მდგომარეობა 1897 წლიდან გაუმჯობესებულიყოს, მაგრამ მრავალის მოწმეთა ჩვენებით დამტკიცდა, რომ სავაჭრო დუქანში მისი შეძლება მხოლოდ 300—400 მანეთისა იყო, და ამ ქონების მოპოება მან შესძლო ჯერ მითი, რომ პენსიას იღებდა, მეორე—აპეკუნისაგან 200 მანეთი მიიღო და მესამე—იგი გამრჯელი ყმაწვილი იყო, რომელიც თვეში 30 მანეთამდის ღებულობდა და თითქმის არაფერი ეხარჯებოდაო. დასასრულ გვაზავამ სთხოვა სასამართლოს შოშიტაიშვილის გამართლება. ბევრი ილაპარაკა აგრეთვე გვაზავამ კონდრატიევის უდანაშაულობის შესახებაც.

კონდრატიევს, ჯერ ერთი, ძნელად თუ ეცოდინებოდა—საიდან იშოვნა მისმა ცოლმა ფულები, რადგანაც მან კარგად იცოდა ცოლის ყოფაქცევის ამბავი და, რაც უნდა იყოს, მეტად უხერხულად ექმნებოდა დაწვრიმალებით გამოკითხვა ცოლისთვის იმის შესახებ, თუ მან საიდან იშოვნა ეს ფული. ესეც არ იყოს, განა ქმარი კანონით ვალდებულია თვისი ცოლი მისცეს ბრალდებას ხელშიო, დაამთავრა ვექილმა და სთხოვა სასამართლოს მისი გამართლება. ოლქის სასამართლომ $2\frac{1}{2}$ საათის განმავლობაში თათბირის შემდეგ, საღამოს 6 საათზე გამოიტანა განაჩენი, რომელიც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში შ. არაგვისპირელის

პირველი წიგნი

ფასი ათი შაური

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Октября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.